

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

დადგენილება №007981

გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

11 სექტემბერი 2020 წ.

ქ. ყვარელი

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): დადგენილების გამომტანაზე უფლებამოსილი პირი - შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ აღმოსავლეთის რეგიონული ოფისის უფროსი იურისტი ნინო ხაჩიძე.

2. საქმის განხილვის თარიღი: 11.09.2020 წ.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე: ფიზიკური პირი ზოია რიკაძე პირადი №12001008442; მცხოვრები გარდაბანი სოფ. სართიჭალა 26 - ე ქუჩა №12, აბონენტის №1113019125.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები: შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“- ის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ განსახილველად გადმომეცა ამავე საზოგადოების აღმოსავლეთის რეგიონული ოფისის საგარეჯოს სერვის ცენტრის საავარიო - საექსპლუატაციო სამსახურის უფროსის გიორგი ალექსაშვილის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №007981 ოქმი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლით განსაზღვრული ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების ფაქტზე, საქმეზე თანდართულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის №002654520 დასკვნა, ფოტომასალა, მრიცხველის დალუქვის აქტი, აბონენტის პირადი ბარათი და გგს - ის აქტი. ოქმის შემდგენის განმარტებით მრიცხველის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ აღრიცხვის კვანძზე დამონტაჟებული „Elsel“ - ის ფირმის „BK – G 4 T“ ტიპის მრიცხველს (ქარხნული №05059628) ვიზუალური დათვალიერების შედეგად აღენიშნებოდა სავარაუდო ხელყოფის კვალი, რაც შესაძლებელს ხდის აღრიცხვის კვანძის შემადგენელი ნაწილის, მრიცხველის ჩვენების შეჩერებას, აღრიცხვის სიზუსტის დარღვევის მიზნით. მრიცხველის დალუქვის აქტის თანახმად, ძველი (სავარაუდოთ ხელყოფილი) მრიცხველი მოიხსნა და შემდგომი შემოწმების მიზნით კანონით დადგენილი წესით გადაიგზავნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს წერილობით ეცნობა, საქმის განხილვის დრო და ადგილი. ზოია რიკაძე ეთანხმება და სადაოთ არ ხდის მის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, თუმცა იგი არ გამოცხადდა ზეპირ განხილვაზე და რაიმე მიზეზის შესახებ არ უცნობებია. შესაბამისად საქმის განხილვის გადადების საფუძველი არ არსებობს რისი გათვალისწინებითაც თანამდებობის პირი უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის დასწრების გარეშე და მიიღოს გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე - 10 მუხლის თანახმად: „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელყოფი მართლსაწინააღმდეგო,

ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა“.

ამავე კოდექსის 96¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიანტის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გადაცემის ან განაწილების ქსელიდან ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) ტრანსპორტირების სისტემიდან ან განაწილების ქსელიდან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცება, მიუხედავად დატაცების ფორმისა, ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) მოხმარება მისი აღრიცხვის გარეშე ან აღრიცხვის წესების დარღვევით – გამოიწვევს გაფრთხილებას“: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236 - ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის ახსნა - განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის ექსპერტის №002654520 დასკვნის თანახმად „Elsel” - ის ფირმის „BK – G 4 T“ მოდელის, №05059628 გაზის მრიცხველის (ლუქის №1982517) მთვლელი მექანიზმის დამცავი ხუფის მთლიანობა დარღვეულია, აღინიშნება გამჭოლი ჩანახვრეტი და მის გასწვრივ, მთვლელი მექანიზმის ჩარჩოძე და ბოლო - დანაყოფებიან გორგოლაჭზე, შეღწევისათვის დამახასიათებელი - გარეშე საგნის ზემოქმედებით განვითარებული კვლებია. თუმცა მთვლელი მექანიზმისდამცავი ხუფი, მექანიზმთან ერთად მყარადაა განთავსებული მრიცხველის კორპუსზე. მრიცხველზე არსებული და ნიმუშის სახით წარმოდგენილი გაზის მრიცხველის ბჯენები ერთმანეთის მსგავსია - მათზე დატანილი რელიეფური ნიშანდებით, მრიცხველის შემავალ - გამომავალ მილყელებში და ბჯენის ბუდეზე, გარეშე საგნის მექანიკური ზემოქმედების კვლები, არ აღინიშნება. აღნიშნული კი თავის მხრივ ქმნის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული სამართალდარღვევის ფაქტს, კერძოდ ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების, შემადგენლობას. ამასთან საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის 2009 წლის 09 ივლისის №12 დადგენილების მე-9 მუხლით: ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარებაში იგულისხმება გამანაწილებელ ქსელზე მოწყობილობების თვითნებურად მიერთება, შეწყვეტილი ბუნებრივი გაზის მიწოდების თვითნებური აღდგენა, ბუნებრივი გაზის მრიცხველის ბრჯენების განზრახ დაზიანება (აღრიცხვის სიზუსტის დარღვევის შემთხვევაში), ბუნებრივი გაზის მრიცხველის ციფრული მაჩვენებლის გაყალბება, ბუნებრივი გაზის დატაცება, მათ შორის, ბუნებრივი გაზის მრიცხველის (აღრიცხვის სისტემის) გვერდის ავლით ან/და მის გარეშე ბუნებრივი გაზის მოხმარება (გარდა ამ წესებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა).

საქართველოს ასკ კოდექსის 264 - ე მუხლის მიხედვით „ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი, არის თუ არა საფუძველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალების ამხანაგური სასამართლოს, საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში და მათ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შექმნილ საზოგადოებრივი ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივისათვის განსახილველად გადასაცემად, აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის“. საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე დადგენილად მიმაჩნია, რომ ადგილი აქვს ადმინისტრაციულ პასუხისმგებებაში მიცემული პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, ეს უკანასკნელი ბრალეულია მის ჩადენაში, ამასთან არ არსებობს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ შსს ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოში გაგზავნილ იქნა მოთხოვნა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის შესაბამისად ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების ფაქტზე შემოწმების მიზნით, შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საინფორმაციო ბანკში ზოია რიკაძე არ ირიცხება.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8; მე-10; 96¹ მუხლის პირველი ნაწილით, 200-ე, 228²-ე, 236-237-ე, 260-ე და 266-268-ე მუხლებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 და 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფ/პ ზოია რიკაძე პირადი №12001008442 ცნობილ იქნას ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვროს გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას – 15000 ლარის ოდენობით.

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მისამართი: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. №19).

დადგენილების გამომტანი:



ნ.ხაჩიძე